## პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. **ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება**
   **ძირითადი თემატიკა:** ბგერა და ასო; მარცვალი. კავშირი და განსხვავება დონეებს შორის: სიტყვა - წინადადება; მარტივი წინადადების აგება; თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებების ინტონაციის გამოხატვა; წინადადება - დასრულებული აზრი.

2. **ენის კომუნიკაციური ასპექტები**
   **ძირითადი თემატიკა:** მოსმენისა და საუბრის წესები; თავაზიანი მეტყველება; მეტყველების ეტიკეტური ფორმები (მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა, თხოვნა); სიტყვიერი და არასიტყვიერი კომუნიკაცია (ჟესტები, მიმიკა, ხმის დონეები, ინტონაცია); წერილობითი ტექსტის გრაფიკული სტრუქტურა: ტექსტი, აბზაცი, სტრიქონი, წინადადება, განსხვავებული ტიპის შრიფტები, ილუსტრაციები. ტექსტი, სათაური, ავტორი.

3. **მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა**
   **ძირითადი თემატიკა:** მცირე ზომის ლექსები, მოთხრობები და ზღაპრები თანატოლებზე, სამშობლოზე, მეგობრობაზე, სიმართლეზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ცხოველებზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე.

   **საკითხავი მასალა:** ლიტერატურული და ხალხური ზღაპრები; მცირე ზომის ფოლკლორული ტექსტები: ენის გასატეხები, გამოცანები, ანდაზები, ლექსები; ქართული და უცხოური საბავშვო კლასიკა და თანამედროვე მწერლების ზღაპრები, მოთხრობები, კომიქსები, ქართული საბავშვო ლექსები.